

ხუდონის კროქტის საბანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმის მოსამზადებელი მასალების დამუშავება

Development of the Frame (generic) of Emergency Action Plan (EAP) for Khudoni Dam

შემუშავებულია კონსულტანტის, მეცნ.აკად.დოქტ. ივანე ნონიევის მიერ

Prepared by consultant Ivan Noniev, PhD.

12/27/2011

ნაშრომში დამუშავებულია ხუდონის კაშხლის უსაფრთხოების საკითხები, კერძოდ მომზადებულია და შემოთავაზებულია განსახილველად კაშხლის შესაძლო ნგრევის შემთხვევაში საგანგებო სიტუაციის სამოქმედო გეგმის კონცეპტუალური საფუძვლები

სარჩევი

ხუდონჰესის პროექტის საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმის (EAP) მოსამზადებელი მასალების დამუშავება.....	4
შესავალი.....	4
კაშხლის დაზიანების (დანგრევის) რისკი.....	4
ხუდონჰესის პროექტის საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა (EAP).....	6
I. ხუდონის კაშხლის ძირითადი საპროექტო მონაცემები.....	6
II. ხუდონის კაშხლის საგანგებო ღონისძიებათა გეგმის განხორციელების ხუთბიჯიანი პროექტი.....	7
2.1. ბიჯი 1. ხდომილების აღმოჩენა.....	7
2.1.2 ბიჯი 2. საგანგებო სიტუაციის ღონის განსაზღვრა.....	8
2.1.3. ბიჯი 3 შეტყობინება და კომუნიკაცია.....	11
2.1.4. ბიჯი 4. გასათვალისწინებელი ქმედებები.....	15
2.1.5. ბიჯი 5. დასრულება.....	19
III. პრევენციული ღონისძიებები.....	24
IV. პრევენციული ღონისძიებების ეფექტურობა.....	26
V. შეტყობინებების სისტემის ორგანიზაცია.....	27
ცხრილი 1.....	28
VI. საკომუნიკაციო სისტემა.....	29
ცხრილი 2.....	29
VII. დატბორვის ზონაში შესვლის ორგანიზაცია.....	33
VIII. ორგანიზაციული ღონისძიებები ღამის საათებში.....	35
IX. სამუშაოთა ორგანიზაცია არახელსაყრელ კლიმატურ პირობებში.....	35
X. საგანგებო სიტუაციებში მოსახლეობის უზრუნველყოფა დაცვის საშუალებით..	36
XI. კოოპერაციის ორგანიზაცია.....	37
ცხრილი 3. კოოპერაციის თანმიმდევრობა კაშხლის ნგრევის საფრთხის შემთხვევაში.....	38
XII. მენეჯმენტის ორგანიზაცია.....	39
XIII. საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის სრულყოფა.....	39
XIV. მოსახლეობის ევაკუაციის წინაპირობები.....	40
XV. დასკვნები და რეკომენდაციები.....	41
დანართი.....	42
დანართი № 1.....	43

საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმის ამოცანა	43
დანართი № 2	44
მოთხოვნები ხუდონის კაშხლის უსაფრთხოების გეგმის მიმართ.....	44
დანართი № 3	45
1. მიზანი.....	45
2. საწყისი მონაცემები.....	45
3. პრევენციული ღონისძიებები	46
3.1. ადრინდელი შეტყობინების სისტემის (EWS) ორგანიზაცია	46
3.2. საკომუნიკაციო (კავშირგაბმულობის) სისტემა.....	47
3.3. დატბორვის ზონაში შესვლის ორგანიზაცია	47
3.4. ორგანიზაციული ღონისძიებები ღამის საათებში.....	47
3.5. სამუშაოთა ორგანიზაცია არახელსაყრელ კლიმატურ პირობებში	48
3.6. დამცავი ღონისძიებები მოსახლეობისათვის.....	48
3.7. კოოპერაციის ორგანიზაცია.....	49
3.8. კოორდინაციის ორგანიზაცია	49
3.9. საგანგებო პირობებში მზადყოფნის გეგმის სრულყოფის პროცედურა.....	49
დანართი № 4	51
შეთანხმება განათების საშუალებათა უზრუნველყოფის თაობაზე.....	51
დანართი № 5	52
საგანგებო სიტუაციის დონის განსაზღვრის წესები.....	52
დანართი 6	55
დანართი 7	56
დანართი 8	57
დანართი 9	58
დანართი 10	59
დანართი 11.....	60

ხულონჯის პროექტის საბანბო სიტუაციაში სამოქმედო გეგმის (EAP) მოსამზადებელი მასალების დამუშავება

შესავალი

კაშლის დაზიანების (დანგრევის) რისკი

კაშლის დაზიანება (დანგრევა) პოტენციალურად კატასტროფის ტოლფასია მისი შედეგებიდან გამომდინარე.

რისკის შემცირება: მაღალი ხარისხის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მდინარის მაქსიმალურ ხარჯს და ასევე ხარისხიანი მშენებლობა. კაშალი უნდა იყოს აღჭურვილი ინსტრუმენტალური მონიტორინგის სისტემით უწყვეტი დაკვირვებების ჩატარებისათვის და იყოს რეგულარული ზედამხედველობის ქვეშ დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ, რომლებსაც უნდა გააჩნდეთ ძალაუფლება, რათა მათი რეკომენდაციები უპირობოდ იყოს შესრულებული და გათვალისწინებული როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის პერიოდში. ობიექტის ექსპლუატაციას უნდა ეწეოდეს კარგად მომზადებული პერსონალი, რომელიც პირნათლად და ზუსტად ასრულებს ტექნიკური ინსტრუქციების მოთხოვნებს. ობიექტზე უნდა არსებობდეს მოქმედების გეგმები არასაშტატო და საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში (შეტყობინება, განგაში და ევაკუაცია, მოსახლეობის და ინფრასტრუქტურის დაცვის ღონისძიებები და ა.შ.). ობიექტის დაზიანების შემთხვევაში საგანგებო სიტუაციის ზონა უნდა იყოს აღჭურვილი ადრინდელი შეტყობინების სისტემით.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია დამუშავდეს მოსამზადებელი მასალები ხულონის კაშლის (მდ. ენგურზე) პროექტისათვის მისი დაზიანების შემთხვევაში საგანგებო სიტუაციის სამოქმედო გეგმისათვის (EAP). პროექტის ამ ეტაპზე ამ გეგმის ჩონჩხის დამუშავება იქნება სავსებით საკმარისი იმის გათვალისწინებით, რომ საბოლოო დამტკიცებული ვარიანტი უნდა არსებობდეს ობიექტზე მშენებლობის დამთავრების შემდეგ. აქ იქნება გათვალისწინებული ახალი რეალობები,

რომელიც მოყვა მშენებლობის პროცესს და ექსპლუატაციის საწყის ეტაპს (გარემოს და ინფრასტრუქტურის ცვლილება, ახალი დასახლებების გაჩენა, კაშხლის, მისი ფუძის და წყალსაცავის ნაპირების ქცევა და მდგომარეობა დატვირთვების და ზემოქმედებების ქვეშ მონიტორინგის შედეგებზე დატყრდნობიდ და ა.შ.).

საწყისი მონაცემები ამ გეგმის (EAP) შექმნისათვის მოყვანილია ქვემოთ:

1. ხულონის კაშხლის ტექნიკური პარამეტრები;
2. დატბორვის ზონის პარამეტრები კაშხლის ნგრევის შედეგად იმ შემთხვევაში, როდესაც წყალსაცავი სავსეა და მდინარეში მაქსიმალური ხარჯია (რუკები და ცხრილები);
3. მოთხოვნები კაშხლის უსაფრთხოების გეგმის მიმართ;
4. წყალსაცავის საანგარიშო პარამეტრები და მარეგულირებელი სისტემების საშუალებები;
5. სტატისტიკური მონაცემები დატბორვის ზონაში მოსახლეობის, სასოფლო-სამეურნეო მიწების, დაწესებულებებისა და მომსახურების ობიექტების შესახებ;
6. მონაცემები რაიონში არსებული ჯანმრთელობის დაცვის შესაძლებლობათა შესახებ;
7. რუკა მასშტაბით 1:50000, ხულონის კაშხლის განთავსების ტერიტორიის

აღნიშვნები:

DE –Dam Engineer, კაშხლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ინჟინერი;
MoE – The regional Ministry of Emergencies, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის რეგიონალური სამმართველოები;
EAP – Emergency Action Plan, საგანგებო სიტუაციის სამოქმედო გეგმა;
EWS – Early Warning System, ადრინდელი შეტყობინების სისტემა.

ხუდონჰის კროექტის საბანბებო სიტუაციასი სამოქმედო ბებბა (EAP)

I. ხუდონის კაშხლის ძირითადი საპროექტო მონაცემები განსახილველი საგანგებო სიტუაციის რეაგირების გეგმის დამუშავების თვალსაზრისით ხუდონის კაშხალი იქნება განთავსებული ზღვის დონიდან 501 - 702მ-ს ნიშნულთა შუალედში გეომეტრული პარამეტრებით:

ა)	კაშხლის ტიპი	ბეტონის თაღოვანი კაშხალი
ბ)	სამშენებლო სიმაღლე	200.5 მ
ვ)	სიგრძე თხემზე	522 მ
გ)	სიგანე თხემზე	9.0 მ
დ)	სიგანე საძირკველში	42.0 მ

ხუდონის წყალსაცავის წყლის სარკის ფართი შეადგენს 528 ჰა. წყალსაცავის მოცულობა მაქსიმალური შეტბორვის დროს შეადგენს 364,5 მლნ. მ³. მათ შორის სასარგებლო მოცულობაა 223 მლნ. მ³.

ხუდონის ჰიდროკვანბს გააჩნია შემდეგი წყალგამტარი საშუალებები: სადერივაციო გვირაბი (წყალსაცავის მარცხენა ნაპირზე) მაქსიმალური გამტარიანობით 1030მ³/წმ, კაშხლის თხემზე ცენტრალურ ნაწილში და მარცხენა ნაპირზე განლაგებული წყალსაგდებები, აგრეთვე სიღრმული წყალსაგდები, რომლებმაც თავისი ჯამური გამტარიანობით უნდა უზრუნველყონ მდ. ენგურის მაქსიმალური ხარჯის 2500მ³/წმ გატარება ქვედა ბიეფში.

ხუდონის თაღოვანი კაშხლის კონსტრუქცია გათვლილია 9-ბალიანი ინტენსივობის მიწისხვრის ზემოქმედებაზე.

პრევენციული ღონისძიებების დამუშავება ხორციელდება კაშხლის ნგრევის გათვალისწინებით, ვინაიდან, როგორც ცნობილია, მის ნგრევას თან სდევს კატასტროფული შედეგები.

შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების ჩატარება აუცილებელია სათანადო გეგმის შესაბამისად, ამასთან ერთად ნაგებობის ნგრევის რისკი განისაზღვრება რისკფაქტორების და კაშხლის გარღვევით გამოწვეული ნაკადის გავრცელების ჰიდრაულიკური პარამეტრების, აგრეთვე დატბორვის ზონის შესახებ სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე.

II. ხუდონის კაშხლის საბანგებო ღონისძიებათა გეგმის ბანსორციელების ხუთბიჯიანი პროექტი

2.1. ბიჯი 1. ხდომილების აღმოჩენა

ნახ.1 მოყვანილია ხუდონის კაშხლისათვის შემოთავაზებული საგანგებო სიტუაციის სამოქმედო გეგმის (EAP) ხუთბიჯიანი სქემა, რომელიც მიღებულია საერთაშორისო პრაქტიკაში. ბიჯი 1 აღწერს არაორდინარულ ან საგანგებო სიტუაციას და შეიცავს ინფორმაციას, რომელიც დაეხმარება ხუდონის კაშხლის ოპერატორს განსაზღვროს შესაბამისი საგანგებო ღონე მოცემულ შემთხვევაში. არაორდინარული და საგანგებო ხდომილებები შეიძლება გამოვლენილი იქნას:

- ვიზუალური დაკვირვებებით კაშხალზე ან კაშხლის სიახლოვეს სამთავრობო ორგანოების (ადგილობრივი, საგუბერნიო ან ცენტრალური), მიწათმფლობელების, კაშხლის მეთვალყურეების ან საზოგადოების წარმომადგენლების მიერ;
- ინსტრუმენტული დაკვირვებების მონაცემთა შეფასებით;
- საგრძნობი მიწისძვრისას ან კაშხლის სიახლოვეს მის შესახებ შეტყობინებით;


- გაფრთხილებით იმ პირობების შესახებ, რომელსაც შეუძლია არაორდინარული ან საგანგებო სიტუაციის გამოწვევა კაშხალზე (მაგ. მკაცრი ამინდი ან უეცარი წყალმოვარდნის პროგნოზი).

2.1.2 ბიჯი 2. საგანგებო სიტუაციის დონის განსაზღვრა

მას შემდეგ რაც არაორდინარული ან საგანგებო სიტუაცია დაფიქსირებულია ან მის შესახებ შეტყობინება არსებობს, კაშხლის ოპერატორი პასუხისმგებელია მოცემული შემთხვევის კლასიფიკაციაზე (იხ. “საგანგებო დონის განსაზღვრის სახელმძღვანელოს” ცხრილი, დანართი 5, რომელიც დაგეხმარებათ გარკვეული ხდომილების შეფასებაში, რათა გაარკვიოთ, არის თუ არა მოცემული ხდომილება არაორდინარული ან პოტენციურად შეუძლია თუ არა მას იყოს საგანგებო სიტუაციის მიზეზი) ერთ-ერთი საგანგებო დონით შემდეგი სამიდან:

საგანგებო დონე 1 – არაკრიტიკული არაორდინარული შემთხვევა, რომელიც ნელა ვითარდება: ეს სიტუაცია არ არის ნორმალური, თუმცა ჯერ კიდევ არ ემუქრება კაშხლის ექსპლუატაციას ან მის სტრუქტურულ მთლიანობას, მაგრამ თუ ეს ვითარება გაგრძელდება, მაშინ მან შეიძლება საფრთხე შეუქმნას ზემოთაღნიშნულს. ტექნიკური დახმარებისათვის საჭიროა დაკავშირება კაშხლის უსაფრთხოების ინჟინერთან ან სახელმწიფო მოხელესთან, რათა გამოკვლეული იქნას სიტუაცია და მიღებულ იქნას სამოქმედო რეკომენდაციები. კაშხლის მდგომარეობა დეტალურად უნდა იქნას შემოწმებული, განსაკუთრებით ტალღების ზემოქმედებისას, რათა გამოვლინდეს ნებისმიერი ხდომილება, რომელსაც შეუძლია პოტენციურად ან გარდაუვლად გამოიწვიოს კაშხლის მტყუნება. ადგილობრივ სამართალდამცავთა წარმომადგენელმა უნდა შეატყობინოს თავის ხელმძღვანელობას შექმნილი სიტუაციის შესახებ, რათა მიღებული იქნას გადაწყვეტილება, ვინაიდან შესაძლოა მოვლენები განვითარდეს უარესი სცენარით, რაც მოითხოვს საგანგებო დონისძიებათა გატარებას.

ხუდონის კაშხლის საგანგებო ღონისძიებათა გეგმის სქემა



ნახ.1

საგანგებო ღონე 2 – კაშხლის პოტენციურად შესაძლებელი მტყუნების შემცველი სიტუაციის სწრაფი განვითარება:

ამ სიტუაციამ საბოლოო ანგარიშით შეიძლება გამოიწვიოს კაშხლის მტყუნება და ქვედა ბიეფის უეცარი დატბორვა, მაგრამ უშუალოდ კაშხლის გარღვევის საფრთხე არ არსებობს. ნორმატიული დოკუმენტები უნდა იყოს დარეგისტრირებული ამ საგანგებო სიტუაციის თანახმად და გაიცეს განგაშის სიგნალი. კაშხლის ოპერატორი ახლოდან უნდა აკონტროლებდეს ნაგებობის მდგომარეობას და პერიოდულად აცნობებდეს სიტუაციის განვითარების შესახებ სამართალდამცავ ორგანოს თანამშრომლებს. თუ კაშხლის მდგომარეობა უარესდება და მტყუნება გარდაუვალია, შესაბამისმა სამსახურებმა დაუყოვნებლივ უნდა დააფიქსირონ საგანგებო ღონის ცვლილება, რათა მოახდინონ ქვედა ბიეფში მყოფი ადამიანების ევაკუაცია.

თუ დრო იძლევა ამის საშუალებას, მაშინ ტექნიკური დახმარებისათვის საჭიროა მიმართვა კაშხლების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო მოხელეებისათვის, რათა შეფასდეს და რეკომენდებულ იქნას ალდგენითი სამუშაოების ჩატარება კაშხლის რღვევის თავიდან ასაცლებლად. კაშხლის ოპერატორმა უნდა დაიწყოს ალდგენითი-სარემონტო სამუშაოები (გამოიყენოს ადგილობრივი, მისთვის ხელმისაწვდომი რესურსები). ალდგენითი სამუშაოების წარმოებისათვის გამოყოფილი დროის ინტერვალი შეიძლება განისაზღვროს რამოდენიმე საათით ან დღით.

ეს საგანგებო ღონე, აგრეთვე ეთანადება იმ სიტუაციას, როცა ნაკადი გადაედინება კაშხალზე ან ანალოგიური მოსალოდნელია და შეუძლია წყალდიდობის გამოწვევა ქვედა ბიეფში, რაც საფრთხეს შეუქმნის იქ მყოფ ადამიანებსა და განლაგებულ ობიექტებს. ავარიული სამსახურები უნდა იქნას მობილიზებული განგაშის გამოცხადებით, რათა დროულად დაიწყონ ევაკუაცია და

მოაწყონ ზღუდარები (დაბრკოლებები) წყალდიდობის გავრცელების გზაზე, იმ შემთხვევაში, თუ წყლის დონე განაგრძობს აწევას.

საგანგებო დონე 3 – კაშხლის უეცარი (სწრაფი) მტყუნება გარდაუვალია ან მას უკვე აქვს ადგილი. ეს – საგანგებო, უეცარი სიტუაციაა, როცა წყალშემტბორი ნაგებობის მტყუნება სახეზეა ან აშკარაა, რომ ასეთი ხდომილება შეიძლება მოხდეს და მისი თავიდან აცილება შეუძლებელია. გარღვევის ტალღა (წყალმოვარდნა) გავრცელდება კაშხლის ქვედა ბიეფში. ანალოგიური სცენარით განვითარდება მოვლენები მაშინაც, როცა ნაკადი გაარღვევს კაშხალს და ქვედა ბიეფის ადამიანებით დასახლებულ და განვითარებული ინფრასტრუქტურის ზონაში გამოიწვევს წყალდიდობას. აუცილებელია სამართალდამცავ ორგანოებთან დაუყოვნებლივ დაკავშირება, რათა საავარიო სამსახურებმა დაიწყო ადამიანების ევაკუაცია ყველა სახიფათო ადგილიდან და აუცილებლობის შემთხვევაში გადაკეტონ გზები.

საგანგებო დონე 1: ნელა განვითარებადი (პროგრესირებადი), არაკრიტიკული, არაორდინარული) შემთხვევა;

საგანგებო დონე 2: სწრაფად განვითარებადი (პროგრესირებადი), კაშხლის პოტენციური მტყუნების შემცველი შემთხვევა;

საგანგებო დონე 3: კაშხლის მტყუნება გარდაუვალია ან მას უკვე აქვს ადგილი.

2.1.3. ბიჯი 3 შეტყობინება და კომუნიკაცია

შეტყობინება:

საგანგებო დონის განსაზღვრის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი შესაბამისი საგანგებო დონის სქემის თანახმად მოსახლეობა დაუყოვნებლივ უნდა იყოს გაფრთხილებული.

კომუნიკაცია:

საგანგებო დონე 1: ნელა განვითარებადი (პროგრესირებადი), არაკრიტიკული, არაორდინარული შემთხვევა:

კაშხლის ოპერატორი და მესაკუთრე უნდა დაუკავშირდეს ნაგებობის ინჟინრებს და კაშხალთა უსაფრთხოების სპეციალისტებს. აღწეროს მათ შექმნილი სიტუაცია და სთხოვოს ტექნიკური დახმარება საჭირო ღონისძიებების გასატარებლად.

საგანგებო დონე 2: სწრაფად განვითარებადი (პროგრესირებადი), წყალშემტბორი ნაგებობის პოტენციური მტყუნების შემცველი შემთხვევა:

გამოყენებული უნდა იქნას ქვემოთმოყვანილი სახის შეტყობინება, რათა ოფიციალურმა და მმართველმა პერსონალმა უკეთ აღწეროს შექმნილი ვითარება საგანგებო სიტუაციაში:

„ეს ხდება (წყალშემტბორი ნაგებობის დასახელება). აქ (უნდა მიეთითოს ადგილმდებარეობა, მისამართი) შეიქმნა საგანგებო სიტუაცია. ობიექტი დაშორებულია უახლოესი დასახლებული პუნქტიდან (მანძილი).

ჩვენ ვაკავშირებთ საგანგებო ღონისძიებათა გეგმა ამ კაშხალთან მიმართებაში და ამჟამად მდგომარეობა შეესაბამება საგანგებო დონეს 2.

ჩვენ ვანხორციელებთ წინასწარ განსაზღვრულ მოქმედებებს, რათა ადექვატურად გამოვეხმაროთ სიტუაციის განვითარებას, რომელსაც შეეძლო გამოეწვია კაშხლის მტყუნება.

გთხოვთ, მოემზადოთ კაშხლის ქვემოთ მდებარე ოლქების (ტერიტორიების – უნდა მიეთითოს დასახლებული პუნქტების და ქუჩების დასახელებები) ევაკუაციისათვის.

იხელმძღვანელოთ საგანგებო ღონისძიებათა გეგმის სავაკუაციო რუქის საკუთარი ასლით.

ჩვენ შეგატყობინებთ, როგორც კი სიტუაცია განიმუხტება ან გაუარესდება. ჩემთან დაკავშირება შესაძლებელია შემდეგ რიცხვში (თარიღი). თუ ამ დროისათვის ვერ შეძლებთ დაკავშირებას, დამისახელოთ შემდეგი ალტერნატიული თარიღი”.

კაშხალი, თარიღი, ადმინისტრაციული რაიონი.

საგანგებო ღონე 3: კაშხლის მტყუნება გარდაუვალია ან მას უკვე აქვს ადგილი:

აუცილებელია დაუყოვნებლივ დაკავშირება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან და თუ შესაძლებელია კაშხლის მტყუნება, პოტენციურად დატბორვას დაქვემდებარებული ტერიტორია კონტროლზე უნდა იქნას აყვანილი:

1. დარეკეთ ადგილობრივი ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოში და დარწმუნდით, რომ წარმოთქვით ფრაზა: *“ეს საგანგებო სიტუაციაა”*. ისინი დაგისახელებენ სხვა სახელისუფლებო ორგანოებს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს (რომლებსაც ასევე უნდა მიმართოთ) და დაიწყებენ ევაკუაციას.

შემდეგი შეტყობინების გამოყენება შესაძლებელია საგანგებო სიტუაციის აღსაწერად ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლისათვის და მართვის პერსონალისათვის საგანგებო სიტუაციებში:

“ეს – საგანგებო სიტუაციაა. მე ვარ (დასახელებთ ვინაობა), კაშხალი (დასახელება, მიუთითეთ მისი ადგიმდებარეობა) განიცდის ავარიას. მის ქვემოთ მდებარე ზონა უნდა იქნას ევაკუირებული დაუყოვნებლივ. გაიმეორეთ, (კაშხლის დასახელება) განიცდის ავარიას: მოახდინეთ ქვედა ბიეფში განლაგებული (დასახელებული პუნქტის სახელწოდება) დაბლობი ნაწილის (მიუთითეთ ქუჩების დასახელება) ევაკუაცია.

ჩვენ გავააქტიურეთ საგანგებო ღონისძიებათა გეგმა ამ კაშხლის (მიუთითეთ დასახელება) მიმართ. ამჟამად მდგომარეობა შეესაბამება საგანგებო ღონეს 3.

იხელმძღვანელებთ საგანგებო ღონისძიებათა გეგმის სავაკუაციო რუკის საკუთარი ასლით.

ჩემთან დაკავშირება შესაძლებელია შემდეგ რიცხვში (თარიღი).”

თუ ამ დროისათვის ვერ შეძლებთ დაკავშირებას, დამისახელეთ შემდეგი ალტერნატიული თარიღი.

2. განხორციელეთ ყველა აუცილებელი ქმედება, რათა უშუალოდ სახიფათო სიტუაციაში აღმოჩენილი ადამიანები გამოყვანილ იქნან უსაფრთხო ადგილას. ამ მიზნით უნდა გაივზავნოს სამართალდამცავი ორგანოს ან ევაკუირებული მოსახლეობის წარმომადგენლები (კაშხალზე, კაშხლის ქვედა ბიეფში, წყალსაცავში ნავზე).

3. ხშირი კონტაქტი იქონიეთ სამართალდამცავი ორგანოებისა და საავარიო სამსახურების წარმომადგენლებთან, მიაწოდეთ მათ ახალი მონაცემები კაშხლის მდგომარეობის შესახებ. ისინი გეტყვიან თქვენ, თუ როგორ გაუმკლავდეთ საგანგებო სიტუაციას.

4. თუ კომუნიკაციის ყველა საშუალება მწყობრიდანაა გამოსული: (1) შეეცადეთ გაარკვიოთ რატომ, (2) შეეცადეთ ისარგებლოთ სხვა რადიოთი ან ტელეფონით, რომელიც მუშაობს, (3) აიძულეთ სხვა პირი შეეცადოს კავშირის დამყარებას. თუ ამ გზით კომუნიკაციის დამყარება შეუძლებელია, მაშინ უნდა გადაწყდეს უშუალო პრობლემები შესაძლებლობის ფარგლებში. ამავე დროს საჭიროა პერიოდულად განხორციელდეს კონტაქტის აღდგენის მცდელობა სამართალდამცავი ორგანოებისა და საავარიო სამსახურების წარმომადგენლებთან“.

შემდეგი შეტყობინება, როგორც წესი, შეიძლება გამოყენებულ იქნას სამართალდამცავი ორგანოებისა და საავარიო სამსახურების წარმომადგენლების მიერ გზამკვლევის სახით, რათა საზოგადოების წარმომადგენლებს ეცნობოს საგანგებო სიტუაციის სტატუსი.

„ყურადღება: ეს – საგანგებო სიტუაციაა“

მოისმინეთ ყურადღებით. თქვენი სიცოცხლე შეიძლება დამოკიდებული აღმოჩნდეს ღონისძიებათა დაუყოვნებლივ მიღებისაგან. (კაშხლის დასახელება, მისი ადგილმდებარეობა) განიცდის ავარიას. გაიმეორეთ (კაშხლის დასახელება, მისი ადგილმდებარეობა) განიცდის ავარიას.

თუ თქვენ იმყოფებით ავარიის ზონაში ან მასთან ახლოს, დაუყოვნებლივ განაგრძეთ მოძრაობა ავარიის ზონიდან რაც შეიძლება დაშორებული მაღალი ადგილებისაკენ“.

გაიმეორეთ შეტყობინება.

2.1.4. ბიჯი 4. გასათვალისწინებელი ქმედებები

კაშხლის მესაკუთრე ან მისი წარმომადგენელი (DE) უნდა იყოს ინფორმირებული კაშხალზე მომხდარი არაორდინარული ან საგანგებო შემთხვევის შესახებ. მესაკუთრემ ან მისმა წარმომადგენელმა უნდა განსაზღვროს საგანგებო დონე და მიიღოს შესაბამისი ზომები. წყლის რესურსების მართვის საბჭოს კაშხლის უსაფრთხოების ინჟინერს უნდა დაუკავშირდეს ტექნიკური კონსულტაციისათვის.

საგანგებო დონე 1: ნელა განვითარებადი (პროგრესირებადი), არაკრიტიკული, არაორდინარული შემთხვევა:

- ა. მესაკუთრემ ან მისმა წარმომადგენელმა (DE) უნდა დაათვალიეროს კაშხალი. სულ მცირე, უნდა დათვალიერდეს ზედა და ქვედა ფერდები და კაშხლის ხეობის ბორტებთან მართვის ადგილები. ასევე უნდა ჩატარდეს წყალსაცავის არეს, სანაპირო ბურჯების, ქვემო ბიეფში გამყვანი არხის ინსპექტირება მათი მდგომარეობის ცვლილების განსაზღვრის მიზნით. თუ ადგილი აქვს ფილტრაციას, ეროზიას, ბზართწარმოქმნას ან შეიმჩნევა ჯდენები – ამ დაკვირვებათა შედეგები დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს წყლის რესურსების მართვის საბჭოს კაშხლის უსაფრთხოების ინჟინერს –: ახალი

მდგომარეობის შესაბამისი ღონისა და რეკომენდებული ქმედებების განსაზღვრის მიზნით იხელმძღვანელებს “საგანგებო ღონის განსაზღვრის სახელმძღვანელო” ცხრილით (დანართი 5).

ბ. აწარმოეთ ყველა კონტაქტის ჩანაწერი, რომელიც დამყარდა, კონტაქტების საკონტროლო სიაში.

გ. აწარმოეთ ყველა ინფორმაციის, დაკვირვების, ქმედებების ჩანაწერი ხლომილებათა რეგისტრაციის ფორმის მიხედვით.

დააფიქსირეთ სიტუაცია ფოტო ან ვიდეო კამერით, თუ ეს შესაძლებელია.

დ. მესაკუთრე ან მისი წარმომადგენელი უნდა დაუკავშირდეს (იხ. დიაგრამა, დანართი 6) კაშხლის უსაფრთხოების ინჟინერს (DE) ან დამპროექტებელს და მიიღოს ტექნიკური დახმარება, შექმნილი სიტუაციის გამოკვლევისა და მისი გამოსწორებისათვის ქმედებათა რეკომენდაციის მიზნით. (შეუძლია დაუკავშირდეს აგრეთვე ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს).

საგანგებო ღონე 2: სწრაფად განვითარებადი (პროგრესირებადი), წყალშემტბორი ნაგებობის პოტენციური მტყუნების შემცველი შემთხვევა:

ა. კაშხლის მესაკუთრე ან მისი წარმომადგენელი უნდა დაუკავშირდეს კაშხლის უსაფრთხოების ინჟინერს (DE), ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და ადგილობრივ ოფისს, რომ აცნობოს სიტუაცია და თუ დრო საშუალებას იძლევა სთხოვოს ტექნიკურ პერსონალს გამოიკვლიოს შექმნილი სიტუაცია, მისი გამოსწორებისათვის ღონისძიებათა შემუშავების მიზნით (იხ. დიაგრამა, დანართი 7).

ბ. კაშხლის მესაკუთრე ან მისი წარმომადგენელი უნდა დაუკავშირდეს 122-ზე, რათა აცნობოს საგანგებო სიტუაციათა პერსონალს იმის თაობაზე, რომ

საგანგებო ღონისძიებათა გეგმა (EAP) მოქმედებაშია მოყვანილი და თუ მიმდინარე მდგომარეობა გაუარესდება საგანგებო სიტუაციამ შეიძლება მოითხოვოს ევაკუაცია. უნდა შესრულდეს მოსამზადებელი სამუშაოები გზების გადაკეტვისა და ევაკუაციისათვის.

გ. საავარიო სამსახურების პერსონალისათვის ინფორმაციის განახლების უზრუნველყოფა, მათთვის დახმარების გასაწევად, რათა დროულად შეიმუშაონ გადაწყვეტილებები შეტყობინებების, გზების გადაკეტვისა და ევაკუაციის შესახებ.

დ. თუ დრო იძლევა საშუალებას, მესაკუთრემ ან მისმა წარმომადგენელმა უნდა დაათვალიეროს კაშხალი. როგორც მინიმუმი, უნდა დათვალიერდეს ზედა და ქვედა ფერდები და კაშხლის ხეობის ბორტებთან მირთვის ადგილები მთელ სიგრძეზე. ასევე უნდა ჩატარდეს წყალსაცავის არეს, სანაპირო ბურჯების, ქვემო ბიეფში გამყვანი არხის ინსპექტირება მათი მდგომარეობის ცვლილების განსაზღვრის მიზნით. თუ ადგილი აქვს გრუნტების რღვევას, მომატებულია ფილტრაცია, ეროზია, ბზართწარმოქმნა ან შეიმჩნევა ჯდენები, ამ დაკვირვებათა შედეგები დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მესაკუთრის ან ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, კაშხლის უსაფრთხოების ინჟინერს (DE) -: ახალი მდგომარეობის შესაბამისი ღონისა და ჩასატარებელი ღონისძიებების შემუშავების მიზნით იხელმძღვანელებს “საგანგებო ღონის განსაზღვრის სახელმძღვანელო” ცხრილით (დანართი 5).

ე. აწარმოეთ ყველა კონტაქტის ჩანაწერი, რომელიც დამყარდა, კონტაქტების საკონტროლო სიაში.

ვ. აწარმოეთ ყველა ინფორმაციის, დაკვირვების, ქმედებების ჩანაწერი ხდომილებათა რეგისტრაციის ფორმის მიხედვით.

დააფიქსირეთ სიტუაცია ფოტო ან ვიდეო კამერით, თუ ეს შესაძლებელია.

ზ. თუ დრო იძლევა საშუალებას, უნდა იქნას გამოყენებული შემდეგი საგანგებო აღდგენითი ქმედებები:

საგანგებო აღდგენითი ქმედებები

თუ დრო იძლევა საშუალებას, უნდა იქნას განხილული პირობები საგანგებო დონი 2-ის შესაბამისი შემდეგი საგანგებო აღდგენითი ქმედებებისათვის. ამ აღდგენითი ქმედებების უშუალო განხორციელებას შეუძლია შეაჩეროს, შეასუსტოს ან თავიდან აიცილოს კაშხლის მტყუნება. ჩამოთვლილი არასასურველი ან არაორდინარული მდგომარეობიდან რამოდენიმეს შეიძლება აღვილი ექნეს კაშხალზე. ამასთან, აღნიშნული მოითხოვს აღდგენითი ღონისძიებების განხორციელებას რამოდენიმე მეთოდით. კაშხალი უნდა დაექვემდებაროს მჭიდრო ინსტრუმენტულ კონტროლს, რათა წარმატებული იყოს მასზე განხორციელებული ნებისმიერი აღდგენითი ქმედებები. დროის არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერი აღდგენითი ქმედება უნდა განხორციელდეს კაშხლის მესაკუთრისა, ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და კაშხლის უსაფრთხოების ინჟინერთან (DE) კონტაქტში.

საგანგებო დონე 3: წყალშემტბორი ნაგებობის მტყუნება გარდაუვალია ან მას უკვე აქვს აღვილი:

- ა. წყალშემტბორი ნაგებობის მესაკუთრე დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეს 122-ზე და სხვა სამსახურებს, როგორც ნაჩვენებია შეტყობინებათა დაგზავნის დიაგრამაზე (დანართი 8).
- ბ. საგანგებო სიტუაციაზე პასუხისმგებელმა ქალაქის ან რეგიონის მოხელემ უნდა მიმართოს ძალისხმევა გაფრთხილების რეალიზაციისათვის, რომელიც ეხება გზების გადაკეტვასა და ადამიანების ევაკუაციას კაშხლის ქვედა ბიეფის სახიფათო ადგილებიდან.

გ. მესაკუთრეს მუდმივად უნდა ჰქონდეს უწყვეტი კომუნიკაცია და უზრუნველყოფდეს ქალაქისა და რეგიონის მოხელეების ინფორმირებას სიტუაციის მიმდინარეობის შესახებ, რითაც დაეხმარება მათ დროული გადაწყვეტილებების მიღებაში გაფრთხილებისა და ევაკუაციის საკითხებზე.

დ. მესაკუთრე აწარმოებს ყველა კონტაქტის ჩანაწერს, რომელიც დამყარდა, კონტაქტების საკონტროლო სიაში. აწარმოებს ყველა ინფორმაციის, დაკვირვების, ქმედებების ჩანაწერს ხდომილებათა რეგისტრაციის ფორმის მიხედვით. ინიშნავს პირობების ცვლილების დროს. აფიქსირებს სიტუაციას ფოტო ან ვიდეო კამერით, თუ ეს შესაძლებელია.

ე. ადამიანებს, რომლებიც ახორციელებენ კაშხლის კონტროლს, უნდა მიეცეს რჩევა, რომ დაიცვან უსაფრთხოების პროცედურები. ყველა მათგანი უნდა იმყოფებოდეს ნებისმიერი ჩამოვარდნილი ან ჩამოქცეული კონსტრუქციისა და ფერდებისაგან, აგრეთვე რღვევის მასალების პოტენციური წყლით მოდენის არეებიდან მოშორებით.

2.1.5. ბიჯი 5. დასრულება

ყოველთვის, როცა EAP-ი გააქტიურდება და საგანგებო დონე გამოცხადდება, EAP-ს მიხედვით ყველა მოქმედება და საგანგებო სიტუაცია დასრულდება, მაშინ EAP-ს ოპერაციები საბოლოო ანგარიშით დამთავრებული იქნება და აგრეთვე შემდეგი პროცედურებიც აგრეთვე დასრულდება.

მოვალეობები დასრულებისათვის

ქალაქის ან რეგიონის პასუხისმგებელი მოხელე პასუხისმგებელია EAP ოპერაციის დასრულებაზე და ამ გადაწყვეტილების მესაკუთრისათვის შეტყობინებაზე. ეს თითოეული ადამიანის მოვალეობაა კონტაქტების იმავე ჯგუფში, სადაც იგი დარეგისტრირებული იყო ხდომილების შეტყობინების პროცესში, რათა აცნობოს იგივე ადამიანებს, რომ პროცესი დასრულდა.

მე-3 დონის შესაბამისი საგანგებო შემთხვევის დასრულებისთანავე, რომელმაც არ გამოიწვია კაშხლის ფაქტობრივი მტყუნება, მესაკუთრის ინჟინერმა უნდა დაათვალიეროს კაშხალი, რათა განსაზღვროს ჰქონდა თუ არა ადგილი რაიმე დაზიანებას, რომელსაც პოტენციურად შეეძლო გამოეწვია ადამიანთა მსხვერპლი, მათი სხეულის დაზიანება ან მატერიალური ზარალი.

წყლის რესურსების მართვის სამსახურის კაშხლის უსაფრთხოების ინჟინერს შეუძლია დახმარების აღმოჩენა დათვალიერებაში. თუ დადგენილია, რომ ეს პირობა არ უქმნის საფრთხეს ადამიანებს და მათ საკუთრებას, მაშინ მესაკუთრის ინჟინერს შეუძლია ურჩიოს ქალაქის ან რეგიონის მოხელეს, რომ დაასრულოს EAP-ს ოპერაციები, ისე როგორც ზემოთ იყო აღწერილი. მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს კაშხლის უსაფრთხოების საგანგებო სიტუაციის ოპერატიული ცნობა, რათა დაარეგისტრიროს საგანგებო შემთხვევა და ყველა ზომა, რაც იქნა მიღებული. მესაკუთრე ვალდებულია ანგარიში წარუდგინოს ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს.

EAP-ს მომსახურება. მიმოხილვა და გადასინჯვა

EAP-ს ყოველწლიური მიმოხილვა

მესაკუთრე განიხილავს და საჭიროების შემთხვევაში განაახლებას EAP-ს, უკიდურეს შემთხვევაში წელიწადში ერთჯერ მაინც. EAP-ს ყოველწლიური მიმოხილვა უნდა შეიცავდეს:

1. ყველა კონტაქტის მოთხოვნა EAP-ს სამ დიაგრამაზე (დანართი 6, 7, 8), რათა შემოწმდეს სატელეფონო ნომრები გაირკვეს რჩება თუ არა ძალაში და იმ ადამიანთა ნუსხა, რაც მოცემულ დებულებაშია მითითებული. EAP ექვემდებარება გადასინჯვას თუ რომელიმე კონტაქტი გამოიცვალა.
2. მჭიდრო კონტაქტი ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებთან, რათა შემოწმდეს სატელეფონო ნომრებისა და იმ ადამიანთა ნუსხის სიზუსტე, რაც

მოცემულ დებულებაშია მითითებული. გარდა ამისა, მესაკუთრე ეკითხება იცის თუ არა იმ ადამიანმა ვისაც უკავშირდებიან, სად ინახება EAP და მასში თუ არის მისთვის გასაგები აღწერილი მოვალეობები.

3. შეკითხვა ხელმისაწვდომი რესურსების (ადგილობრივი რესურსების) მასშტაბის შესახებ, რათა შემოწმდეს, რომ ტელეფონის ნომრები, მისამართები და მომსახურება რჩება ძალაში.

გადასინჯვა

მესაკუთრე პასუხისმგებელია EAP-ს დოკუმენტის განახლებაზე. EAP-ს დოკუმენტი, რომელიც ინახება მესაკუთრესთან:

მისი ძირითადი დოკუმენტია. როცა მოხდება გადასინჯვა, მესაკუთრე ვალდებულია უზრუნველყოს ასლების გადაღება და მიწოდება EAP-ს ყველა დანარჩენი მფლობელისათვის. დოკუმენტის მფლობელნი პასუხისმგებელი არიან შესაბამისი დოკუმენტების მოძველებული ასლების გადახედვაზე ყველა შემთხვევაში, როცა მიიღებენ ახალ, გადასინჯულ დოკუმენტს. მოძველებული ფურცლები დაუყოვნებლივ ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს, რათა თავიდან იქნას აცილებული გადასინჯვასთან დაკავშირებული ნებისმიერი უწყესივრობა.

ფუნქციები და მოვალეობები

კაშხლის ოპერატორის წარმომადგენელი

- საგანგებო სიტუაციის შეტყობინებისთანავე ან როცა აღნიშნული სახეზეა, დაუყოვნებლივ განსაზღვრავს საგანგებო ღონეს (იხ. საგანგებო სიტუაციის ღონის განსაზღვრის ცხრილი, დანართი 5);
- დაუყოვნებლივ ატყობინებს პერსონალს იმ რიგითობით, რომელიც შესაბამისი ღონის შეტყობინების ბლოკ-სქემაზეა ნაჩვენები (იხ. შეტყობინების ბლოკ-სქემები დანართი 6, 7, 8);

- უზრუნველყოფს ინფორმაციის განახლებას სიტუაციის შესახებ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისათვის, მათთვის დროული და ზუსტი გადაწყვეტილების მისაღებად გაფრთხილებისა და ევაკუაციის თაობაზე;
- უზრუნველყოფს ხელმძღვანელ როლს, რათა გარანტირებულად, ყოველწლიურად გადაისინჯოს და განახლდეს EAP და მისი ყველა ასლი გადაეცეს EAP-ს ორიგინალის მფლობელს.

ინციდენტის ხელმძღვანელი

- იგი არის მთავარი კოორდინატორი, რომელიც პასუხისმგებელია ყველა საგანგებო ღონისძიებისა და ქმედების კოორდინაციისა
- როცა დონე-2-ის შესაბამის სიტუაციას აქვს ადგილი: ამზადებს პერსონალს მართვისათვის საგანგებო სიტუაციებში შესაძლებელი ევაკუაციისათვის, რაც შეიძლება გახდეს საჭირო, თუ მე-3 დონის შესაბამის სიტუაციას აქვს ადგილი:
 - იღებს გადაწყვეტილებას გაფრთხილებისა და ადამიანების ევაკუაციის რიგითობის შესახებ კაშხლის ქვედა ბიეფში განლაგებული სახიფათო ზონებიდან
 - ატყობინებს ადგილობრივი მართვის სამსახურებს საგანგებო სიტუაციებში , რათა განახორციელონ ადამიანთა ევაკუაცია და გადაკეტონ გზები ევაკუაციის ზონაში.
- იღებს გადაწყვეტილებას საგანგებო სიტუაციის დასრულების შესახებ
- მონაწილეობს EAP-ს ყოველწლიურ მიმოხილვასა და განახლებაში

მართვის სამსახური საგანგებო სიტუაციებში

- ხელს უწყობს კომუნიკაციას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან
- როცა მე-2 დონის შესაბამისი სიტუაციაა
 - ამზადებს პერსონალს მართვისათვის საგანგებო სიტუაციებში შესაძლებელი ევაკუაციისათვის, რაც შეიძლება საჭირო გახდეს, თუ მე-3 დონის შესაბამის სიტუაციას აქვს ადგილი;
 - მზადყოფნაში მოჰყავს შესაბამისი საზოგადოება
- როცა მე-3 დონის შესაბამისი სიტუაციაა
 - მოჰყავს მზადყოფნაში საგანგებო სიტუაციისათვის ფართო საზოგადოება;
 - დაუყოვნებლივ გადაკეტავს გზებს და აწარმოებს ევაკუაციის ზონაში მყოფი ადამიანების ევაკუაციას;
- მონაწილეობს EAP-ს ყოველწლიურ მიმოხილვასა და განახლებაში.

კაშხლის ოპერატორის ტექნიკური წარმომადგენლები

- კონსულტაციას უწევენ კაშხლის ოპერატორს საგანგებო სიტუაციის დონის განსაზღვრაში, თუ დრო იძლევა ამის საშუალებას
- კონსულტაციას უწევენ კაშხლის ოპერატორს აღდგენითი ღონისძიებების ჩატარების საკითხებში, თუ მე-2 დონის ხდომილებას აქვს ადგილი

კაშხლების უსაფრთხოების სახელმწიფო სამსახური (ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო)

- კონსულტაციას უწევენ კაშხლის ოპერატორს საგანგებო სიტუაციის დონის განსაზღვრაში, თუ დრო იძლევა ამის საშუალებას

- კონსულტაციას უწევს კაშხლის ოპერატორს აღდგენითი ღონისძიებების ჩატარების საკითხებში, თუ მე-2 ღონის ხდომილებას აქვს ადგილი და დრო იძლევა ამის საშუალებას.

III. პრევენციული ღონისძიებები

პირველ რიგში უნდა შემუშავდეს და განთავსდეს ობიექტზე და რეგიონალური საგანგებო სიტუაციათა მართვის უწყებაში დამტკიცებული EAP-ის ამოცანა ხუდონის კაშხლის შესაძლო ნგრევით გამოწვეული საგანგებო სიტუაციის მზადყოფნის გეგმის (დანართი 1), ჩამოყალიბდეს მოთხოვნები უსაფრთხოების გეგმის მიმართ (დანართი 2) და განსაკუთრებულ პირობებში ხუდონის კაშხლისათვის მზადყოფნის დაგეგმვის კონცეფცია, როგორც კაშხლის დეტალური შესწავლის პროექტის საფუძველი (დანართი 3).

მოთხოვნები ზემოთაღნიშნული გეგმის (EAP) მიხედვით აუცილებელია განხორციელდეს შემდეგი პრევენციული ღონისძიებები იმ მიზნით, რომ თავიდან იქნეს აცილებული ხუდონის კაშხლის ნგრევა და ის შედეგები, რომლებიც კაშხლის დანგრევით იქნება განპირობებული.

ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომლებიც დაკავშირებულია ხუდონის კაშხლის ნგრევის საფრთხესთან

1. შემუშავდეს კომპიუტერული სისტემა, რის საშუალებით შესაძლებელი იქნება იმ საკეტების მართვა, რომლებიც განკუთვნილია განლაგებული წყალსატარი ნაგებობისათვის.
2. გაუმჯობესებულ იქნას საკომუნიკაციო სისტემა.
3. შემუშავდეს გეგმა, რომლითაც განხორციელდება მოსახლეობის და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების გაფრთხილება, აგრეთვე სირენებისა და ქუჩის ხმის გამაძლიერებლების (რუპორების) ჩართვა.

4. შემუშავებული იქნას ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებული იქნება სამაშველო და სარეაბილიტაციო მოქმედებებთან ღამის საათებში ან მძიმე კლიმატურ პირობებში.
5. დადგენილ იქნეს საგზაო მარშრუტები მოსახლეობის ევაკუაციის, სამაშველო ღონისძიებების ჩატარებისა და სამედიცინო საშუალებებით უზრუნველყოფის მიზნით.
6. შემუშავებულ იქნეს პასუხისმგებელი პირებისათვის საგანგებო პირობებში მოქმედების გეგმა კაშხლის ნგრევის შეემთხვევაში მძიმე შედეგების თავიდან აცილების მიზნით.
7. ზემოთაღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე (რომელიც წარმოდგენილია EAP–ში) პასუხისმგებელმა პირმა (MoE) უნდა მოამზადოს შემდეგი:
8. დადგენილ იქნეს საჭირო სატრანსპორტო საშუალებები მოსახლეობის ევაკუაციის და სამაშველო სამუშაოთა განხორციელების მიზნით.
9. განსაზღვრულ იქნას გზები, მაგისტრალები და ადგილები ევაკუაციის განხორციელების, აგრეთვე სწრაფი დახმარების საშუალებების და სამაშველო მოქმედებათა ჩასატარებლად განკუთვნილი პუნქტების განთავსების მიზნით.
10. შესაძლებელი საფრთხის საწინააღმდეგოდ განკუთვნილი ნაგებობები წინასწარ განლაგებული უნდა იქნეს დატბორვის ზონის გარეთ, მიწისქვეშა ძალოვანი კვანძებისა და მომარაგების პუნქტების (საწყობების) ახლოს.

IV. პრევენციული ღონისძიებების ეფექტურობა

გეგმის მიხედვით, ხულონის კაშხლის ნგრევის საშიშროების შემთხვევაში, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შედეგად ნავარაუდევია შემდეგი შედეგების მიღება:

- საგანგებო პირობებში ხულონის კაშხლის ნგრევის საშიშროების წინასწარ გამოვლენა და ნგრევის რისკის შეფასება, ეფექტური ინსტრუმენტალური მონიტორინგის სისტემის დაყენებით.
- საგანგებო პირობებში პრევენციული ზომების შემუშავება მონიტორინგის მონაცემების ანალიზის საფუძველზე.
- მოსახლეობის დაცვისა და უსაფრთხოების ხარისხის გაზრდა იმ რაიონში, რომელიც დატბორვის ზემოქმედების ზონაში იქნება მოქცეული.
- კაშხლის ნგრევით გამოწვეული ნაკადის ზემოქმედების შედეგებისა და ეკონომიკური დანაკარგების შემცირება სტიქიური უბედურების შემთხვევაში.
- სამაშველო-სარეაბილიტაციო სამუშაოთა შესრულების დროის ხანგრძლივობის შემცირება სტიქიური უბედურების შემთხვევაში.
- მაშველი ძალების (რაზმების) შექმნა, რომლებიც დაკომპლექტებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობისაგან და მექანიზმების მოზიდვა კერძო სექტორიდან.
- სარეაბილიტაციო სამუშაოთა დაჩქარება, რომლებიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასთან და ირიგაციასთან.
- სარეაბილიტაციო სამუშაოთა ეფექტური განხორციელება და ამოქმედება იმ მომსახურების ხაზებისა, რომლებიც დაკავშირებულია წყლისა და ენერჯის მომარაგებასთან, საკომუნიკაციო საშუალებებთან, გზებთან.

V. შპჯრობინებების სისტემის ორგანიზაცია

ხულონის კაშხლის შესაძლო ნგრევის საშიშროების შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირი (DE), რომელიც კაშხალს ემსახურება, ატყობინებს საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტს (MoE), რაიონული განყოფილების პასუხისმგებელ პირს და შესაბამის პირს კაშხლის მესაკუთრეთა ცენტრში, ხოლო ისინი, თავის მხრივ, დაუყოვნებლივ ატყობინებენ მთავრობის პასუხისმგებელ პირს.

ამ უკანასკნელის მიერ, შესაბამისი თანმიმდევრობით ხდება შეტყობინება საერთო მართვაში მყოფი სააგენტოებისათვის კაშხლის ნგრევით გამოწვეული რისკის, აგრეთვე დატბორვის პოტენციურ ზონაში სირენებისა და ქუჩის ხმის გამაძლიერებლების (რეპროდუქტორების) ჩართვის შესახებ.

კაშხლის დანგრევის შემთხვევაში, სირენების ჩართვა წარმოებს ავტომატურ რეჟიმში კაშხალთან განლაგებული საკონტროლო პუნქტიდან, რაც უზრუნველყოფს გამაფრთხილებელი სიგნალის მოწოდებას 10 კმ რადიუსის ფარგლებში.

ამავე დროს გამაფრთხილებელი სიგნალები იგზავნება სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის რაიონულ განყოფილებაში და კაშხლის მესაკუთრეთა ცენტრში. თავის მხრივ, ისინი უგზავნიან გამაფრთხილებელ სიგნალებს სახელმწიფო მთავრობის პასუხისმგებელ პირს (დიაგრამა 1, დანართი 9), სახელმწიფო მინისტრს და რაიონულ მთავრობას, რის შედეგად ხდება:

- კაშხლის ნგრევის პოტენციური რისკის ან კაშხლის ნგრევის შედეგად წარმოქმნილი რეალური პირობებისა და დატბორვის ხარისხის შეფასება.
- შემოწმება იმ მოწყობილობა-აღჭურვილობისა, რომელიც განკუთვნილია საგანგებო პირობებით გამოწვეული შედეგების თავიდან აცილების მიზნით.
- სპეციალური ჯგუფების შექმნა, რომელთა დანიშნულება იქნება სტიქიური უბედურების შედეგების დეტალური შესწავლა.

- სასწრაფო ღონისძიებების განხორციელება, როგორც დატბორვის ფარგლებში ზრდის თავიდან აცილების, ასევე დანაკარგების შემცირების მიზნით.
- სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაწევა მოსახლეობისათვის.
- საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობის ევაკუაცია.
- სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება მომსახურების საშუალებების (სერვის-ხაზების) მიმართ, როგორცაა, ელექტრო გადაძვები ხაზები, წყლისა და გაზის მილსადენები, გზები.
- დაზარალებულთათვის სამედიცინო დახმარების ორგანიზაცია.

ხულონის კაშხლის შესაძლო ნგრევის საშიშროების შემთხვევაში შეტყობინება განხორციელდება სადისპეტჩერო პუნქტიდან შედეგი მიმდევრობით:

- ა) ხმის მაყვირის “Сирена”-ს ჩართვით (რომლის მოქმედების რადიუსი 10 კმ);
- ბ) რადიოსადგურების მეშვეობით;
- გ) მობილური ტელეფონებით

ხულონის კაშხლის საგანგებო სიტუაციაში შეტყობინების
სისტემის მოწყობილობა

ცხრილი 1.

№	დასახელება	განზ. ერთ.	რ-ბა	დისლოკაციის ადგილი
1	2	3	4	5
1.	რადიო რეტრანსლატორი ტიპი CM 660-130-173 მგ ჰერცი	კომპლ.	1	
2.	ხელის რადიოსადგური გადასატანი	ცალი	15	2 ცალი – წყალსაცავის მეპატრონის ცენტრში; 10 ცალი წალენჯიხის რაი-ონის გამგებლობაში; 15 ცალი ზუგდიდის რაიონის გამგებლობაში;

3.	ხელის მაგაფონები	ცალი	30	10 ცალი წალენჯიხის რაიონის, 20 ცალი ზუგდიდის რ-ნის დასახლებულ პუნქტებში
4.	აკუმულატორები 120 ვოლტი	ცალი	2	სადისპეტჩერო შენობაში
5.	ხმის მაყვარი “Сирена”-ს ტიპის	ცალი	1	კაშხალზე სადისპეტჩერო შენობის სახურავზე
6.	მობილური ტელეფონები	ცალი	2	სადისპეტჩერო შენობაში

VI. საკომუნიკაციო სისტემა

რადიო სადგურის (Motorola CM 660408-470, MHg 16 CH 25-40W) მოწყობა აუცილებლობას წარმოადგენს კაშხლის ნორმალური საექსპლუატაციო პირობებისა და საკომუნიკაციო საშუალებათა საიმედო ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით.

კომუნიკაცია განხორციელდება სხვადასხვა პირს შორის, სხვადასხვა დონეზე (პასუხისმგებელი პირი კაშხალთან, რაიონულ MoE, სახელმწიფო MoE –ში და მთავრობაში) მიმღებ-გადამცემ რადიოაპარატურას საშუალებით, აგრეთვე რაიონული და სადეპარტამენტო სატელეფონო ხაზებით. დიაგრამა 2-ზე (დანართი 10) ნაჩვენებია საკომუნიკაციო კავშირები და გზავნილების (მესიჯების) თანამიმდევრობა.

ცხრილი 2.

კაშხლის ნგრევის შემთხვევაში ღონისძიებათა განხორციელების თანმიმდევრობა

ინფორმაციული მონაცემები	დრო	შემსრულებელი	ღონისძიებები

1	2	3	4	5
1.	კაშხლის ნგრევა	0.00		
2.	სირენების ჩართვა, რომელსაც 10 კმ რადიუსის მოქმედების უნარი გააჩნიათ	3 წთ	პასუხისმგებელი პირი კაშხლათან	აღნიშნულ ზონაში ავტომატურად ჩართული იქნება სირენები. პასუხისმგებელი პირი თვალყურს ადევნებს მოქმედების პროცესს და აუცილებლობის შემთხვევაში აღიღებს მათ მოქმედების ეფექტს.
3.	გაფრთხილება და საგანგებო სიტუაციის შეტყობინება			
	ა) პასუხისმგებელ პირს საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის (MoE) რაიონულ განყოფილებაში	4 წთ	პასუხისმგებელი პირი კაშხლათან	ინფორმაცია მოეწოდება რაიონულ ქვედანაყოფებს
	ბ) პასუხისმგებელ პირს კაშხლის მესაკუთრეთა ცენტრში	5 წთ	პასუხისმგებელი პირი კაშხლათან	
	გ) პასუხისმგებელ პირს საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტში (MoE), სარეზერვო მართვის განყოფილებები.	5 წთ 6 წთ	პასუხისმგებელი პირი რაიონულ (MoE) საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტში, პასუხისმგებელი პირი კაშხლის მესაკუთ. ცენტრში	გაერთიანებული შეხვედრა საორგანიზაციო საკითხებზე
	დ) დატბორვის ზონაში მყოფი მოსახლეობის შეტყობინება-ინფორმირება ქუჩის ხმის გამაძლი-	6 წთ	პასუხისმგებელ პირი საგანგებო სიტუაციათა მართვის	რეპროდუქტორები გამოიყენება დასახლებულ პუნქტებში

	ერების (რეპროდუქტორების) მეშ- ვეობით		დეპარტამენტში (MoE)	გაფრთხილებისა და ინფორმაციით უზრუნველყოფის მიზ- ნით
	ე) რაიონული ცენტრის და დასახლებების შეტყობინება	6 წთ	პასუხისმგებელ პირი საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტში (MoE) რაიონულ განყოფილებაში	
	ვ) მმართველისა და რაიონული სამთავრობო უწყებების შეტყობინება	7 წთ	პასუხისმგებელ პირი საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტში (MoE) განყოფილებაში	
4.	სატელეფონო კავშირი მთავრობის, საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარისა (MoE) და ტერიტორიული მართვის პასუხისმგებელ პირთან	10 წთ	პასუხისმგებელ პირი საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტში სარეზერვო მართვის განყოფილებაში	სატელეფონო კავშირი ხდება მას შემდეგ, რაც მოხდება სიტუაციის, წინასწარი შეფასება პრემიერ-მინისტრთან შესაბამისი ანგარიშის წარსადგენად
5.	შეხვედრა რაიონული სამთავრობო უწყების ხელმძღვანელობასთან	1 სთ	გუბერნატორი ან გამგებელი	გადაუდებელი ლონისძიებების შემუშავება და პასუხისმგებელი პირების დანიშვნა
6.	სიტუაციის წინასწარი შეფასება რაიონული სამინისტროს მართვის განყ. მიერ	40წთ- 1.5სთ	რეკოგნოსცირების ჯგუფი	კაშხლის და ნაგებობის რეალური მდგომარეობის რეკოგნოსცირება
7.	დატბორვის ზონის საერთო საჰაერო	45წთ	საჰაერო რეკოგნოსცირების	რესპუბლიკური კოოპერაციული

	რეკონოსცირება (რესპუბლიკის) ძალებით		ჯგუფი შვეულმფრენზე	გეგმის მიხედვით, ჯგუფი ატარებს ფრენებს რეკონოს- ცირების მიზნით აეროპორტი-დან
8.	სტიქიური უბედურების ზონაში რესპუბლიკური ძალების შეყვანა	2 სთ	სამოქალაქო დაცვის შენაერთების პოლკი, სახალხო სამაშველო ორგანიზაციები	ძალების განაწილება და მსხვერპლთა გადარჩენის უმაღლესი ლონის პრიორი- ტეტული სამუშაოს შესრულება
9.	მას შემდეგ რაც სიტუაცია უფრო გასაგები ხდება, რაიონულ ძალებსა და სამსახურებს ეძლევათ კონკრეტული ამოცანები	2 სთ	გამგებელი საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტის თავმჯდომარე	საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის თავმ- ჯდომარე შეიმუშავებს წინასწარ გადაწყვეტილებათა გეგმას
10.	გამგებობის მოთხოვნის მიხედვით დამატებით მოიზიდება ძალები მეზობელ რაიონებიდან და თავდაცვის სამინისტროს შენაერთებიდან	2.5სთ	გამგებელი	რაიონული სააგენტოები გამ- გებელს აწვდიან შესაბამის მონაცემებს
11.	ანგარიში პრემიერ- მინისტრს საერთო მდგომარეობის შესახებ	2-3სთ	გამგებელი	მთავრობისადმი ან რაიონული სამთავრობო უწყებისადმი განკუთვნილ ანგარიშში აღინიშნება საჭირო საშუალე- ბებისა და ძალების რაოდენობა
12.	მასმედიის უზრუნველყოფა ინფორმაციით	სიტუაც. მიხედვ.	გამგებელი	მოკლე ინფორმაციის მოწოდება მდგომარეობის შესახებ

13.	შეხვედრა რაიონულ სამთავრობო ოფისში	3 სთ	გამგებელი	სააგენტოებს განემარტებათ ამოცანები, ხდება კონკრეტული მიზნების დასახვა, განი-საზღვრება ინფორმაციის გაცემის პერიოდულობა
-----	------------------------------------	------	-----------	---

VII. ღატბორვის ზონაში შუსვლის ორბანიზაცია

შპს “ჰიდროდიაგნოსტიკა”-ს მიერ ჩატარებული კვლევის: “ხუდონის კაშხლის გარღვევით გამოწვეული ტალღის მათემატიკური მოდელირება” (ხელშეკრულება № 2/11, 17.10.2011წ., პროექტის ხელმძღვანელი პროფ. თ.გველესიანი) ერთერთი ამოცანა იყო: კაშხლის მთლიანი გარღვევით გამოწვეული ტალღის ქვედა ბიეფში გავრცელების სიჩქარეებისა და შესაძლო დატბორვის ზონებისა და შესაბამისი სიღრმეების გაანგარიშება (იგულისხმება მაქსიმალური ტალღა, რომელიც შეესაბამება ნორმალურ შეტბორვის დონეს - ნშდ). ნაშრომის შედეგებიდან ჩანს, რომ შესაძლო დატბორვის საერთო ტერიტორია შეადგენს დაახლოებით 540კმ², მათ შორის 90% განლაგებულია დაბლობში, 25 კმ-იან ზოლში ზღვიდან. დატბორილი იქნება დაახლოებით 42კმ² სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ფართი. გარღვევის ტალღის მახასიათებლებიდან გამომდინარე დიდი ალბათობით დაინგრევა ორი გადასასვლელი ხიდი მდ.ენგურზე სიფელ ჭალესთან და რუხთან; დაიტბორება მაგანის ხიდი დ.ჯვართან, დაინგრევა ან ადგილიდან დაიძრება წყალგამტარი ბეტონის დამბა (ე.წ. “პერებროსკა”) სოფელ ლიასთან. დაიტბორება სოფლები და დასახლებები: ფოცხო-ეწერი, ჭალე, ჯვარი, ლია, პახულანი, გვაშიგვერდი, თქაია, ზენი, ჭკონხუმლა, ოცარციცე – ენგურის ხიდამდე და ქვევით – უკვე შემცირებული ზარალით და შეტბორვის დონით ზუგდიდის და გალის რაიონების ქვედა სოფლები: ტაგილონი, შამგონა,

სიდა და სხვა. ტალღის გადაღინების ზონა შავ ზღვასთან ვცვლდება ანაკლიიდან პრიმორსკამდე. მოსახლეობის რაოდენობა დატბორვის ზონაში შეიძლება შეფასდეს – 50-100 ათასამდე. მსხვილი სამრეწველო ობიექტი დატბორვის ზონაში არ არის, დაინგრევა მხოლოდ მცირე სიმძლავრის ბეტონის და ასფალტის ქარხანა დ.ჯვარში. ეს მონაცემები უნდა იყოს გამოყენებული ევაკუაციის გეგმის შემუშავებისას.

ხუდონის კაშხლის შესაძლო ნგრევის, ან მისი მოსალოდნელი ნგრევის საფრთხის შემთხვევაში, სპეციალიზირებული სატრანსპორტო საშუალებების (სამაშველო, საინჟინრო, სამედიცინო და სხვა დანიშნულების) შესვლა დატბორვის ზონაში უნდა წარმოებდეს იმ არსებული ადგილობრივი დანიშნულების სატრანსპორტო გზების საშუალებით, რომლებსაც არ ეძუქრებათ დატბორვის საფრთხე.

თუ მისასვლელი გზები დატბორილია, საგანგებო სიტუაციებში გამოიყენება დროებითი ან ველმინდვრებზე გადასასვლელი, რომლებიც მდებარეობენ დატბორვის ზონის გარეთ.

მისასვლელი გზების შერჩევასა და გაითვალისწინება სატრანსპორტო საშუალებათა და ხალხის მოძრაობის ინტენსივობა, ასევე ამ საშუალებათა და აღჭურვილობის სახე.

დატბორვის ზონაში უპირველეს ყოვლისა უნდა შევიდნენ სამაშველო და საევაკუაციო დანიშნულების ჯგუფები, ხოლო შემდეგ, საინჟინრო ტექნიკის საშუალებები.

იმისათვის, რომ განხორციელდეს სატრანსპორტო საშუალებების და ხალხის (მომსახურე პერსონალის) შეუფერხებელი შესვლა და სათანადო მოწყობილობის შეტანა დატბორვის ზონაში, წინასწარ უნდა იქნეს შეფასებული დატბორვის ზონის მაქსიმალური ფართობი, შესაძლებელი დაბრკოლებები, სასწრაფო

დახმარებისა და სარეაბილიტაციო ღონისძიებები, აგრეთვე საევაკუაციო მიზნისთვის გამოყოფილი ადგილები და მათთან მისასვლელი გზები.

მისასვლელი გზები სტიქიური უბედურების არეში, წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული საგზაო პოლიციის წარმომადგენელთან, რომლებიც უზრუნველყოფენ სატრანსპორტო მოძრაობებს დაუბრკოლებრივ.

VIII. ორბანიზაციული ღონისძიებები ღამის საათებში

სპეციალიზირებულ უწყებებს, წინასწარ მიეწოდებათ ინფორმაცია უბედურების ზონაში დატბორვის საზღვრების შესახებ, ამ ზონის სათანადო განათების საშუალებით უზრუნველყოფის მიზნით, რომ შეიქმნას ნორმალური პირობები უბედურების ზონაში სამაშველო და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად. სათანადო კომპენსაციის გაცემით, გაფორმებული უნდა იქნეს ხელშეკრულებები კერძო პირებთან, რათა მათ საკუთრებაში მყოფი ენერგეტიკული დანადგარები სათანადოდ იქნეს გამოყენებული (დანართი 4).

სამაშველო ძალები საჭიროების შემთხვევაში, იყენებენ გადასატან (პორტატიულ) განათების საშუალებებს.

შენობების განათება, რომლებიც მდებარეობენ პოტენციური დატბორვის ზონაში უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად, აღნიშნული პრინციპების დაცვით.

IX. სამუშაოთა ორბანიზაცია არახელსაყრელ კლიმატურ პირობებში

მძიმე კლიმატური პირობები განპირობებულია დიდი თოვლიანობით, ინტენსიური წვიმებით, ქარიშხლით, მიწის ზედაპირის ყინულით დაფარვით და სხვა.

ზემოთაღნიშნულ პირობებში უფრო გართულებულია სამაშველო-სარეაბილიტაციო და საევაკუაციო სამუშაოების წარმოება საგანგებო სიტუაციის

დროს, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, შეიძლება დამატებით იქნეს დაზიანებული სერვის-ხაზები, შეფერხდეს სათანადოდ აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება, მწყობრიდან გამოვიდეს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ხაზები.

სპეციალიზირებული ძალების არახელსაყრელ კლიმატურ პირობებში მუშაობის მიზნით, უნდა ჩატარდეს შემდეგი სახის ღონისძიებები:

- სისტემატური ტრენინგი საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის (MoE) შტატისათვის, აღნიშნული პირობების გათვალისწინებით.
- პერიოდული შეხვედრები რაიონულ სამმართველოებთან და სარეზერვო ძალებთან (რეზერვისტებთან) სხვადასხვა საკითხის განხილვისა და პრევენციული ზომების შემუშავების მიზნით.
- აზრთა გაცვლა (დისკუსიები) სიცოცხლის გადარჩენისათვის განკუთვნილი ზომებისა და მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფის თაობაზე.
- განმარტებითი მუშაობა მოსახლეობასთან, საგანგებო სიტუაციის დროს პანიკის თავიდან აცილების მიზნით.

X. საბანგებო სიტუაციებში მოსახლეობის უზრუნველყოფა დაცვის საშუალებით

გეგმით გათვალისწინებულია საქართველოს სახელმწიფო საბიუჯეტო თანხები მატერიალური, ტექნიკური და ფინანსური სახის დახმარების უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე პრევენციული და დამცავი ღონისძიებების ჩასატარებლად. საგანგებო პირობებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების ღონისძიებების დაფინანსებას ანხორციელებენ ორგანიზაციები, რომლებიც განლაგებული არიან უბედურების ზონაში, აგრეთვე რაიონული აღმასრულებელი უწყებები, კერძო ბიზნესმენები და სხვა.

რაიონული სამედიცინო ცენტრები უნდა იქნეს შერჩეული წინასწარ. ასევე წინასწარ უნდა იქნეს შემუშავებული საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა,

რათა დაზარალებულები უზრუნველყოფილ იქნან სათანადო სამედიცინო დახმარებით.

XI. კოოპერაციის ორგანიზაცია

საგანგებო სიტუაციაში, კაშხლის შესაძლო დანგრევის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ, რჩება დროის ძალიან მცირე პერიოდი განსახილველი ზონის დატბორვამდე. იმ მიზნით, რომ განხორციელდეს მოსახლეობის ევაკუაცია, გამოირთოს საერთო ენერჯო-მომარაგება, მომზადდეს სპეციალური ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები, აღჭურვილობა და ჩატარდეს სხვა სახის ღონისძიებები.

ქვეყნის სპეციალიზირებული ძალები (შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტრო) კოოპერირებას აწარმოებენ მეზობელ რაიონულ ძალებთან, უბედურების ზონაში მოსახლეობის დაცვის მიზნით ეფექტური ღონისძიებების უზრუნველსაყოფად.

დიაგრამა 3-ზე (დანართი 11) აღნიშნულია კოოპერირების საკითხებთან დაკავშირებული ძირითადი მახასიათებლები.

ცხრილი 3. კოოპერაციის თანმიმდევრობა კაშხლის ნგრევის საფრთხის შემთხვევაში

ღონისძიებები	შესრულების დრო	შემსრულებელი
კატასტროფული დატბორვის საფრთხის შემთხვევაში		
საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის (MoE) რაიონული განყოფილების პასუხისმგებელი პირის გაფრთხილება	5 წთ	პასუხისმგებელი პირი კაშხალთან
სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის უფროსების გაფრთხილება	6 წთ	ყველა ღონის სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის უფროსი
სამთავრობო სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის გაფრთხილება. 24 სთ-იანი მორიგეობის დაწესება	1 სთ	პასუხისმგებელი პირი საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტში (MoE)
სიტუაციის შეფასება	გადაუდებლად	რეკოგნოსციების ჯგუფი და კაშხლის მენეჯმენტი
კაშხლისა და მასთან დაკავშირებული ნაგებობების მდგომარეობის ტექნიკური შემოწმება და კატასტროფის საწინააღმდეგო ზომები	20 წთ	რეკოგნოსციების ჯგუფი და საინჟინრო სამსახური
სამოქალაქო თავდაცვის ფორმაციების მზადყოფნაში მოყვანა	1 სთ 30 წთ	სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის უფროსი
მოსახლეობის გაფრთხილება სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის უფროსის ინსტრუქციის შესაბამისად	საჭიროების შემთხვევაში	პასუხისმგებელი პირი საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტში (MoE)
მოსახლეობის ევაკუაცია და სიცოცხლის გადარჩენის ღონისძიებები	საჭიროების შემთხვევაში	სამოქალაქო თავდაცვის საევაკუაციო კომიტეტი

XII. მენეჯმენტის ორგანიზაცია

EAP გეგმის მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება კაშხლის ნგრევა ან იქმნება კაშხლის ნგრევის საფრთხე, მოსახლეობის დაცვის მიზნით, ხორციელდება კოორდინაცია რაიონის მთავრობასა და რაიონულ საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის განყოფილებას შორის; საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი საკითხების გადაწყვეტაში ჩაბმული უნდა იქნეს სახელმწიფო საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარე (MoE).

დიდმასშტაბიანი უბედურების შემთხვევაში, მთავრობის მიერ იქმნება ნაციონალური კომისია, რომლის შემადგენლობაში შევლენ სამინისტროების წარმომადგენლები, აგრეთვე რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

XIII. საბანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის სრულყოფა

საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის EAP-ის სრულყოფა ხორციელდება გეგმის მიხედვით, ხუდონის კაშხლის ნგრევის ან მისი საფრთხის შემთხვევაში მატერიალური და ტექნიკური უსაფრთხოების საკითხების განხილვა და სრულყოფა წარმოებს ყოველწლიურად (იანვრის პირველ რიცხვებში). პრაქტიკული ვარჯიშები (ტრენინგები) ხორციელდება სამ წელიწადში ერთხელ, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ რაიონული ხელისუფლებისა და მეზობელი (ერთი ან ორი) რაიონის წარმომადგენლები.

ამ ტრენინგების დროს დატბორილი ზონის მოსახლეობას მიეწოდება გაფრთხილება და ინფორმაცია, შესაბამისად სირენებისა და ქუჩის ხმის გამაძლიერებლების (რეპროდუქტორების) მეშვეობით.

XIV. მოსახლეობის ევაკუაციის წინაპირობები

იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელი ხდება ხულონის კაშხლის ნგრევა ან არსებობს ამის საფრთხე, რაიონული მთავრობა, ქვეყნის პრემიერ მინისტრთან შეთანხმებით, იღებს გადაწყვეტილებას მოსახლეობის ევაკუაციის შესახებ.

საევაკუაციო ადგილების (პუნქტების) დადგენა ხდება რაიონის მთავრობის მიერ მეზობელ რაიონულ მთავრობასთან და საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის რაიონულ განყოფილებასთან შეთანხმების საფუძველზე.

საორგანიზაციო სამუშაოები, ევაკუაციისთვის განკუთვნილი ადგილებისა და გზების განსაზღვრასთან დაკავშირებით, წარმოებს სახელმწიფო საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის (MoE) მიერ, რაიონულ სააგენტოებთან ერთად.

სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფა წარმოებს, რაიონული და რესპუბლიკური სატრანსპორტო სააგენტოების მიერ საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტთან (MoE) კოორდინაციის საფუძველზე დადგენილი საპროცედურო წესების შესაბამისად.

ხულონის კაშხლის ნგრევის შემთხვევაში, ან თუ არსებობს ნგრევის საფრთხე, მოსახლეობის ევაკუაციის წინაპირობათა დეტალური გეგმები წარმოდგენილი იქნება კაშხლის უსაფრთხოების გეგმაში.

XV. დასკვნები და რეკომენდაციები

1. დასმული ამოცანის მიმართებით უსაფრთხოების სტრატეგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნის გეგმა (EPP) ან საგანგებო ღონისძიებათა გეგმა (EAP), რომლებით უნდა დამუშავებულ იქნეს ყოველი ობიექტისათვის მისი ადგილმდებარეობისა და შესაძლო ავარიის სცენარის მიხედვით, საერთაშორისო სტანდარტებისა და გამოცდილების გათვალისწინებით.
2. ნაშრომში დამუშავებულია ხუდონის კაშხლის შესაძლო ნგრევის შედეგად გამოწვეული საგანგებო სიტუაციის სამოქმედო გეგმის მოსამზადებელი მასალები, რომელიც მოიცავს ამ გეგმის ყველა საბაზისო ასპექტს, საჭირო პროექტის რეალიზაციის ამ ეტაპზე.
3. ხუდონის კაშხლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ ნაშრომში მოყვანილი მასალების საფუძველზე შემუშავდება ობიექტის საგანგებო სიტუაციის სამოქმედო გეგმის საბოლოო ვარიანტი, რომელიც იქნება შეთანხმებული ყველა მოქმედ ორგანიზაციასთან და სათანადოდ დამტკიცებული, მასში გაითვალისწინებული იქნება იმ პერიოდისათვის არსებული საორგანიზაციო სტრუქტურა, კაშხლის ექსპლუატაციის რეალური პირობები და მისი ტექნიკური მდგომარეობის კრიტერიუმები, აგრეთვე რეგიონალური ინფრასტრუქტურის, მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო მიწების, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების და მოსახლეობის განთავსების რეალური მდგომარეობა.

ഭവാനുഭവം

ამტკიცებს საგანგებო
სიტუაციათა მართვის უწყების
ხელმძღვანელი

საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმის ამოცანა

1. შესავალი
2. ძირითადი მონაცემები ხულონის კაშხლის შესახებ
3. პრევენციული ღონისძიებები
4. პრევენციული ღონისძიებების ეფექტურობა
5. შეტყობინების სისტემის ორგანიზაცია
6. საკომუნიკაციო სისტემა
7. დატბორვის ზონაში შესვლის ორგანიზაცია
8. ორგანიზაციული ღონისძიებები ღამის საათებში
9. სამუშაოთა ორგანიზაცია არახელსაყრელი კლიმატურ პირობებში
10. საგანგებო სიტუაციებში მოსახლეობის უზრუნველყოფა დაცვის საშუალებებით
11. კოოპერაციის ორგანიზაცია
12. მენეჯმენტის ორგანიზაცია
13. საგანგებო სიტუაციებში მზადყოფნის გეგმის სრულყოფა
14. მოსახლეობის ევაკუაციის წინაპირობები

მოთხოვნები ხულონის კაშხლის უსაფრთხოების გეგმის მიმართ

განსაკუთრებულ პირობებში მზადყოფნის გეგმა:

გეგმა განსაზღვრავს პასუხისმგებელ შემსრულებელთა როლს, როდესაც მოსალოდნელია კაშხლის დანგრევა ან წყალსაცავიდან ქვედა ბიეფში წყლის გადაღვრა მისი ექსპლუატაციის დროს, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ქონებას ან ეკონომიკურ სტაბილურობას და განპირობებულია მდინარის ნაკადის ღონის მკვეთრ მატებასთან.

გეგმა შეიცავს: აღწერას იმ პასუხისმგებლობისა, რომელიც განსაკუთრებულ პირობებში კაშხლის ექსპლუატაციის ან საკომუნიკაციო საშუალებების საკითხების მიმართ გადაწყვეტილებების მიღებას შეეხება; რუკებს, რომელზედაც ნაჩვენებია დატბორვის ღონეები, რომლებიც სხვადასხვა საგანგებო სიტუაციას შეესაბამება; დატბორვის შეტყობინების სისტემების მახასიათებლებს; დატბორვის ზონიდან ევაკუაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, მზადყოფნა/მობილიზაციის განსაკუთრებული პირობებში მოქმედ ძალებსა (მაშველი ჯგუფები, სასწრაფო დახმარება და ა.შ.) და აღჭურვილობას.

დანართი № 3
შეთანხმდეს განსაკუთრებულ
პირობებში მენეჯმენტის
უწყების უფროსთან

განსაკუთრებულ პირობებში მზადყოფნის დაგეგმვის კონცეფცია ხულონის კაშხლისათვის. შემუშავებულია შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია“-ს შეკვეთის საფუძველზე.

1. მიზანი

ხულონის კაშხლის დანგრევის შემთხვევაში საგანგებო პირობებში მზადყოფნის დაგეგმვის (EAP) კონცეფციის მიზანია იმ რისკის შეფასება, რომელიც დატბორვის ზონას შეეხება და იმ ჯგუფების ფუნქციების განსაზღვრა, რომლებიც მოქმედებენ ამ ზონაში, აგრეთვე კომუნიკაციის, შეტყობინების, მზადყოფნისა და გადარჩენის ძალების მობილიზაციის საორგანიზაციო ამოცანების გადაწყვეტა.

2. საწყისი მონაცემები

აღნიშნული გეგმის (EAP) დამუშავებისას იმ შემთხვევისათვის, როდესაც ხდება კაშხლის დანგრევა ან იქნება ამის საფრთხე, საჭირო საწყისი მონაცემები უნდა შეიცავდნენ შემდეგ ინფორმაციას:

- დატბორვის საანგარიშო მახასიათებლები წყალსაცავში წყლის სხვადასხვა ღონის შემთხვევაში, სახელდობრ დატბორვის ზონის სიდიდეს დატბორვის დროს, ნაკადის პარამეტრებს, კაშხლის სიმაღლეს და დატბორვის სიღრმეს კალაპოტის სხვადასხვა კვეთში;
- კაშხლის პარამეტრებს და სამონიტორინგო აღჭურვილობის შესახებ მონაცემებს;
- რელიეფის პირობებს და ჰიდროლოგიურ პარამეტრებს;

- კაშხლის დასახელებას, რომლისთვისაც ხორციელდება აღნიშნული გეგმა (EAP).

3. პრევენციული ღონისძიებები

პრევენციული ღონისძიებები აღნიშნული გეგმის (EAP) მიხედვით განპირობებულია იმ კაშხლებისათვის, რომლებისთვისაც საგანგებო სიტუაციები იწვევენ ადამიანთა მსხვერპლს, ისინი აგრეთვე ითვალისწინებენ ეკონომიკური ზარალის შემცირებასა და ნაგებობის ნორმალური ექსპლუატაციის პირობების უზრუნველყოფას.

პრევენციული ღონისძიებების შემუშავების მიზნით აუცილებელია შესწავლილი და გაანალიზებული იქნეს სტატისტიკური და ტექნიკური მონაცემები იმისთვის, რომ განისაზღვროს მოსახლეობის რიცხვი დატბორვის ზონაში, სამრეწველო ობიექტების არსებობა, საკომუნიკაციო და სერვის ხაზები, სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობები, აგრეთვე წინასწარ შეფასებული იქნეს შესაძლო ეკონომიკური ზარალი.

პრევენციული ზომების შემუშავება ხორციელდება იმ წინასწარ მიღებული მონაცემების საფუძველზე, რომლებიც შეეხება, როგორც წყალსაცავის სხვადასხვა ღონისას დატბორვის ზონის მახასიათებლებს, აგრეთვე შესაბამისი რაიონის სოციალურ განვითარების ხარისხს.

3.1. ადრინდელი შეტყობინების სისტემის (EWS) ორგანიზაცია

კაშხლის ნგრევის ან ამ საფრთხის არსებობის შემთხვევაში, გაფრთხილების ორგანიზაციის მიზნით, აუცილებელია ჰიდროკვანძთან მოწყობილ იქნეს მართვის პულტი ტექნიკური მონიტორინგის მოწყობილობით, რომლის საშუალებითაც ხდება პასუხისმგებელი პერსონალის, რაიონული და რესპუბლიკური ორგანიზაციების შეტყობინება ზემოთ მოყვანილი სქემის მიხედვით.

3.2. საკომუნიკაციო (კავშირგაბმულობის) სისტემა

კაშხლის დანგრევის ან ამ საფრთხის არსებობისას, კომუნიკაციის უზრუნველყოფა საგანგებო სიტუაციის ზონასა და პასუხისმგებელ რაიონულ და რესპუბლიკურ ორგანიზაციებს, აგრეთვე სამაშველო სამსახურებს შორის ხორციელდება ზემოთაღნიშნული გეგმის თანახმად თანამედროვე რადიო-სატელეფონო საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.

3.3. დატბორვის ზონაში შესვლის ორგანიზაცია

საგანგებო სიტუაციის ზონაში სამაშველო ძალების შესვლის ორგანიზაციის მიზნით, წინასწარ უნდა იქნეს შესწავლილი არსებული შემოვლითი გზების მდგომარეობა, მათი გამტარუნარიანობა, რის შემდეგ შერჩეული იქნება საბოლოო მარშრუტები.

წინასწარ აღირიცხება სატრანსპორტო საშუალებები, მათი აღჭურვილობა, საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის (MoE) სამაშველო ძალები, რაიონული ორგანიზაციები და კერძო ბიზნესმენები.

სამაშველო ძალების საგანგებო სიტუაციის ზონაში შესვლის ორგანიზაციას უწევს და მართავს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი (MoE) ადრე შემუშავებული გეგმის მიხედვით.

3.4. ორგანიზაციული ღონისძიებები ღამის საათებში

პრევენციული ზომების ორგანიზაციისა და განხორციელების მიზნით საგანგებო სიტუაციის ზონაში ღამის საათებში აუცილებელია კაშხლის მაღალ ადგილებში წინასწარ განთავსებულ იქნეს პროექტორები;

განათების საშუალებების მობილიზაცია წარმოებს რაიონული ორგანიზაციების და კერძო ბიზნესმენების მიერ მათთან დადებული შეთანხმების თანახმად. ის ადგილობრივი ორგანიზაციები, რომელთა ტერიტორიები შეიძლება დატბორილი

იქნეს კაშხლის ნგრევის შედეგად, პასუხისმგებელი არიან აღნიშნული გეგმის მიხედვით, წინასწარ მოიმარაგონ განათების საშუალებები საკუთარი და მეზობელი ტერიტორიებისათვის. მონიტორინგს განათების საშუალებათა მომარაგებასთან დაკავშირებით ანხორციელებს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი (MoE).

3.5. სამუშაოთა ორგანიზაცია არახელსაყრელ კლიმატურ პირობებში

ჰიდროკვანძებთან და დატბორილ ტერიტორიაზე არახელსაყრელ კლიმატურ პირობებში პრევენციული ზომების განხორციელებისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი (MoE) წარმომადგენლები განსაზღვრავენ იმ სავარაუდო ზონასა და ობიექტებს (შენობები, სერვის-ხაზები, ხეები და სხვა), რომლებიც არახელსაყრელ პირობებში (ძლიერი ქარი, ინტენსიური თოვლობა, ნისლი და ა.შ.) შეიძლება დაინგრეს, რაც შეფერხების მიზეზი იქნება სამაშველო და სარეაბილიტაციო სამუშაოთა ჩასატარებლად. ამის შემდეგ შემუშავდება შესაბამისი ღონისძიებები. პერიოდულად, ზემოთაღნიშნული საორიენტაციო სქემისა, საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის (MoE) მიერ ხორციელდება შესაბამისი ტრენინგები მოსახლეობასთან და რაიონული ორგანიზაციების მომსახურე პერსონალთან არახელსაყრელ პირობებში მათ მოქმედებასთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, შერჩეული იქნება სხვა ძალებიც, საგანგებო სიტუაციაში შემდგომი მოქმედების მიზნით.

3.6. დამცავი ღონისძიებები მოსახლეობისათვის

კაშხლის ნგრევის ან საშიშროების არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფო სარეზერვო ფონდიდან და რაიონული მმართველობის რეზერვებიდან, გამოიყოფა საჭირო მასალა და ტექნიკური საშუალებები დაცვითი ღონისძიებების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით.

ზემოთაღნიშნული გეგმის კონცეფცია განაპირობებს რაიონული სამედიცინო პოტენციალის და მათ სპეციფიურობის (კლასიფიკაციის) დადგენას.

3.7. კოოპერაციის ორგანიზაცია

კოოპერაცია ხორციელდება შეტყობინების სამსახურების, რესპუბლიკური და რაიონული სამაშველო ძალებსა და მოსახლეობას შორის, ამასთან, შესაბამის კოოპერაციის სქემაში (პროგრამაში) აღინიშნება მოქმედების დრო და პასუხისმგებელი ორგანიზაციები და პირები.

3.8. კოორდინაციის ორგანიზაცია

კაშხლის დანგრევის ან მისი საშიშროების არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო მმართველობისა და შესაბამისი რაიონული ორგანიზაციებისა და საბჭოების მიერ ხორციელდება მოსახლეობის დამცავი ღონისძიებების კოორდინაცია.

დიდი მასშტაბის კატასტროფის შემთხვევაში, მთავრობა ქმნის სპეციალურ კომისიას და შეიმუშავებს საკოორდინაციო გეგმას.

3.9. საგანგებო პირობებში მზადყოფნის გეგმის სრულყოფის პროცედურა

საგანგებო პირობების მზადყოფნის გეგმა, მოსახლეობის დაცვის და კაშხლების მატერიალური და ტექნიკური უშიშროების შესახებ, ყოველწლიურად კორექტირდება. სრულყოფის მიზნით სამმ წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარდეს ტრენინგები მოსახლეობისა და რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით, გეგმით გათვალისწინებული ოპერატიული გადაწყვეტილებათა აპრობაციის მიზნით.

საგანგებო პირობებში მზადყოფნის გეგმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ტიპური დიაგრამა, რომელიც ეხება შემდეგ საკითხებს:

1. სქემა (პროგრამა) ღონისძიებებისა კაშხლის ნგრევის შემთხვევაში;
2. შეტყობინების პროცედურა კაშხლის ნგრევის ან მისი საშიშროების არსებობის შემთხვევაში;
3. რაიონული სამედიცინო საშუალებების ჩამონათვალი;
4. რაიონული სამთავრობო უწყებათა და მოსახლეობის შეტყობინების სქემა (თანმიმდევრობა) კაშხლის ნგრევის შემთხვევაში;
5. საკოორდინაციო სქემა (მოქმედების თანმიმდევრობა) კაშხლის ნგრევის შემთხვევაში.

შეთანხმება განათების საშუალებათა უზრუნველყოფის თაობაზე

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ----- რაიონის საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ერთის მხრივ და ორგანიზაციის წარმომადგენელი ან კერძო პირი ----- მეორეს მხრივ ხელს აწერენ წინამდებარე შეთანხმებას იმაზე, რომ -----
----- პირდება გასცეს რაიონული საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის განყოფილებას დროებით ხმარებაში მოწყობილობა (ჩამონათვალი თან ერთვის) სამაშველო სამუშაოთა ჩატარების მიზნით ხუდონის კაშხლის ნგრევის შემთხვევაში და რაიონული საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის განყოფილება პირდება, რომ გამოიყენებს მოცემულ მოწყობილობებს მხოლოდ დასახული მიზნისათვის და გასწევს მიყენებული ზარალის კომპენსაციას.

რაიონული საგან. სიტუაციების მართვის
დეპარტამენტის განყოფილების უფროსი
(კერძო პირი)


ორგანიზაციის
დირექტორი
(კერძო პირი)


საგანგებო სიტუაციის ღონის განსაზღვრის წესები


ხლომილება	სიტუაცია	საგანგებო სიტუაციის ღონე
1	2	3
ნაკადი გადაედინება მიწის კაშხალზე	წყლის გადაღვრა წყალსაცავიდან ქიმზე მოწყობილი წყალსაშვით, როცა წყალსაცავის ბორტების აქტიურ ეროზიას ადგილი არა აქვს	1
	წყლის გადაღვრა, როცა ადგილი აქვს წყალსაცავის ბორტების აქტიურ ეროზიას	2
	წყლის გადაღვრა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს დასახლებათა დატბორვა ქვედა ბიეფში	2
	სწრაფად პროგრესირებადი წყლის გადაღვრა, რომელიც მწყობრიდან გამოიყვანს საკონტროლო ქსელს	3
	წყლის გადაღვრა, რომელიც იწვევს დასახლებათა დატბორვას ქვედა ბიეფში	3
მირთვის დატბორვა	გადადინებული წყლის ნაკადი არ იწვევს კაშხლის მირთვის ფერდის რღვევას. ამასთან, მოსალოდნელია წყლის ღონის დაწევა წყალსაცავში	2
	გადადინებული წყლის ნაკადი არ იწვევს კაშხლის მირთვის ფერდის რღვევას, მაგრამ მოსალოდნელია წყლის ღონის აწევა წყალსაცავში	3
	გადადინებული წყლის ნაკადი იწვევს კაშხლის მირთვის ფერდის რღვევას.	3

1	2	3
ფილტრაცია	ფილტრაციის ახალი წყაროები კაშხალში ან მის მახლობლად	1
	ფილტრაციის ახალი წყაროები მექანიკური სუფოზიით ან წყლის პროგრესირებადი ხარჯით	2
	ფილტრაცია, რომლის ერთი გამოვლენილი წყაროდან ხარჯი აჭარბებს 1 ლ/წმ	3
ძაბრები	შეიმჩნევა ახალი ძაბრი წყალსაცავის ზონაში	1
	ძაბრის გაბარიტები იზრდება სწრაფად	2
ბზართწარმოქმნა მირთვის არეში	კაშხლის ტანში ახალი ბზარები სიგანით 2,5 მმ-ზე მეტი, ფილტრაციის გარეშე	1
	ბზარები კაშხლის ტანში, რომელსაც თან ახლავს ფილტრაცია	2
კაშხლის გადაადგილება (წანაცვლება)	ვიზუალურად შესამჩნევი გადაადგილება (წანაცვლება) კაშხლის ტანის, მისი ელემენტების ან ფერდის ჩამოცოცება	1
	კლდოვანი ფერდის უეცარი ან სწრაფად მიმდინარე ჩამოცოცება-გადაადგილება	3
საზომი ინსტრუმენტები	საზომი ინსტრუმენტების ჩვენება ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობაზე ზემოთ	1
მიწისძვრები	მიწისძვრა არსებითია ან არსებობს ინფორმაცია, რომ მისი კერა კაშხლიდან 50 კმ-ით არის დაშორებული	1
	მიწისძვრა, რომლის მიერ გამოწვეული კაშხლის ან მისი ელემენტების დაზიანება ფიქსირდება ვიზუალურად	2
	მიწისძვრა, რომელიც ხდება გარღვევის ტალღის წარმოქმნის მიზეზი	3


1	2	3
<p>უსაფრთხოებისათვის შექმნილი საშიშროება</p>	<p>ყუმბარის (ნაღმის) აფეთქების საშიშროების შემოწმება, რასაც შესაძლოა კაშხლის რღვევა მოჰყვეს</p>	<p>2</p>
	<p>ყუმბარის (ნაღმის) აფეთქება, რასაც კაშხლის რღვევა მოჰყვა</p>	<p>3</p>
<p>საბოტაჟი/ვანდალიზმი</p>	<p>კაშხლის ან მისი ელემენტის დაზიანება, რაც გავლენას არ ახდენს მის ექსპლუატაციაზე</p>	<p>1</p>
	<p>კაშხლის ან მისი ელემენტის დაზიანება, რასაც შეუძლია ნეგატიურად იმოქმედოს მის ექსპლუატაციაზე</p>	<p>1</p>
	<p>კაშხლის ან მისი ელემენტის ისეთი დაზიანება, რაც იწვევს ფილტრაციას</p>	<p>2</p>








დიაგრამა 1. კაშხლის დანგრევის შემთხვევაში კომუნიკაციისა და შეტყობინების ორგანიზაცია



1. კაშხალი; 2. პასპუსისმგებელი პირი კაშხალთან; 3. ავტომატური რადიო სადგური; 4. საგანგებო სიტუაციის მართვის პასპუსისმგებელი პირი; 5. დისპეტჩერი კაშხლის შესაკუთრე ცენტრში, სირენებისა და ხმის გამიძლიერებლების ჩართვა; 6. საგანგებო სიტუაციის მართვის დეპარტამენტის ძალები (MOE); 7. გარემოს დაცვის სამინისტრო; 8. რაიონის გამგებელი; 9. პრემიერ მინისტრი.

დიაგრამა 2 კახლის ნგრევის შემთხვევაში რაიონის სამთავრობო უწყების და მოსახლეობის გაფრთხილების (შეტყობინების) ხიხტვა



1. დისპეტჩერი; 2. პასუხისმგებელი პირი კახალთან; 3. ტექნიკური მონიტორინგის მართვის პულტი; 4. შეტყობინებისა და ინფორმაციის ცენტრი; 5. პასუხისმგებელი პირი (MOE)-ში; 6. რაიონის გამგებელი; 5 პასუხისმგებელი პირი (MOE)-ს რაიონული განყოფილება ში; 8. რაიონული დეპარტამენტები და ადმინისტრაციული განყოფილებები; 9. საკომუნიკაციო ცენტრი; 10. ქალაქებისა და სოფლების დასახლება.

